ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპური კლუბის საწევრო გადასახადის განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის "ზ" პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის №27/ნ ბრძანების "სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და ამავე მუხლის მეორე პუნქტის "ი" ქვეპუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპური კლუბის დირექტორის მოადგილის, ანნა დულარიძის 2011 წლის 1 ნოემბრის განცხადების (რეგისტრ. №02-12185/11) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპური კლუბის წევრებისათვის განისაზღვროს ყოველთვიური საწევრო გადასახადი 10 (ათი) ლარის ოდენობით;

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს აღრიცხვა-ანგარიშის სამმართველოს უფროსს (სოფიო გაჩეჩილაძე) და უნივერსიტეტის ალპური კლუბის დირექტორს (არჩილ ცინცაძე);

3. დაევალოს კანცელარიას ბრძანების ასლები მიაწოდოს: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპურ კლუბს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთუერთობის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშისა და საფინანსო სამმართველოებს.

4. დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება და დაინტერესებული პირებისათვის ბრძანების საჯარო წესით გაცნობა.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგო რატიანი